tbcinsurance.ge

საინფორმაციო ფურცელი

ავტოტრანსპორტის დაზღვევა

MOE-001/22

თიბისი დაზღვევა
TBC INSURANCE

დაზღვევა
გასაგებ ენაზე

MOE-001/22

tbcinsurance.ge

გამარჯობა!

თქვენ ეცნობით **ავტოტრანსპორტის დაზღვევის ძირითად პირობებს.** წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი **არ შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას** და იგი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების ტოლფასი. შესაბამისად, მისი გაცნობა არ წარმოშობს ჩვენ შორის სამართლებრივ შედეგებს.

ვინ არის მზღვეველი?

მზღვეველი ორგანიზაცია: **სს „თიბისი დაზღვევა“** (ს/კ 405042804)

მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #24ბ

ცხელი ხაზი/ტელეფონი: (+995 32) **2 42 22 22**

დაზღვევის ხელშეკრულების სახე

წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი შეიცავს მოკლე ინფორმაციას **ავტოტრანსპორტის დაზღვევის ხელშეკრულების** შესახებ. **თქვენ** მიერ შესაბამისი დაზღვევის შეძენის შემთხვევაში, გადმოგეცემათ **დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი „პოლისი“**, რომელიც მასში მითითებულ **დაზღვევის პირობებსა** და ხელშეკრულების **მნიშვნელოვან პირობებთან** ერთად, წარმოადგენს დაზღვევის ერთიან ხელშეკრულებას. პოლისში მითითებული **დაზღვევის პირობების** დეტალური ნახვა შეგიძლიათ ჩვენს ვებ გვერდზე www.tbcinsurance.ge. **თქვენ** მიერ დაზღვევის შეძენა გულისხმობს, რომ დაეთანხმეთ საიტზე განთავსებულ და პოლისში მითითებულ **დაზღვევის პირობებს #MOE-001/22.**

რა არის დაზღვეული?

სადაზღვევო პირობები მოიცავს შემდეგ **სადაზღვევო დაფარვებს/სექციებს:**

სექცია A: **დაზღვეული ავტოტრანსპორტის ძარის** დაზიანება ან განადგურება დაზღვეული რისკების შედეგად;

სექცია B: **მესამე პირ(ებ)ის წინაშე** ავტომფლობელის სამოქალაქო **პასუხისმგებლობის** დაზღვევა;

სექცია C: **მძღოლისა და მგზავრების** უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა.

რისგან ხართ დაზღვეული?

სექცია A: **ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევის სექციით ჩვენ** ავანაზღაურებთ სადაზღვევო პერიოდში **ავტოტრანსპორტის ძარის** დაზიანებით ან განადგურებით მიღებულ ზარალს, გამოწვეულს შემდეგი **დაზღვეული რისკებით:**

- **იდენტიფიცირებული მესამე პირ(ებ)ის** მიერ გამოწვეული **ავტოსაგზაო შემთხვევა;**
- **უფლებამოსილი მძღოლის** მიერ გამოწვეული **ავტოსაგზაო შემთხვევა;**
- ხანძარი, აფეთქება, საგნის დაცემა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა ან მათი მცდელობა, ვანდალიზმი;
- **სტიქიური მოვლენები;**
- **ავტოტრანსპორტის** საქარე მინის ისეთი დაზიანება, როდესაც ზიანდება მხოლოდ საქარე მინა, **დაზღვეული ავტოტრასპორტის** სხვა დეტალ(ებ)ის დაზიანების გარეშე.

სექცია B: **მესამე პირ(ებ)ის წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის** სექციით **ჩვენ** ავანაზღაურებთ ზარალს, რომელიც **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** მოძრაობის დროს, **სადაზღვევო პერიოდში, უფლებამოსილი მძღოლის** მიერ ავტოტრანსპორტის მართვის შედეგად მიადგა **მესამე პირ(ებ)ის** სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას.

სექცია C: **მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის** სექციით, **ჩვენ** ავანაზღაურებთ ზარალს, რომელიც **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** მოძრაობის დროს, **სადაზღვევო პერიოდში, უფლებამოსილი მძღოლის** მიერ ავტოტრანსპორტის მართვის შედეგად მიადგა **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** მძღოლისა ან/და მგზავრების სიცოცხლეს / ჯანმრთელობას.

შენიშვნა: სადაზღვევო დაფარვის/სექციის სახეობა და მოცულობა განისაზღვრება **თქვენი** არჩევანის შესაბამისად და მიეთითება **სადაზღვევო პოლისში.**

თქვენი არჩევანის შესაბამისად განისაზღვრება ასევე **მესამე პირ(ებ)ის წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ანაზღაურების ჯამური ლიმიტი**, რომელიც შეიძლება იყოს 5,000 ან 10,000 ლარი.

თქვენი ხარჯისა და ფინანსური თანამონაწილეობის შესახებ:

დაზღვევის შესაძენად უნდა გადაიხადოთ **სადაზღვევო პრემია, თქვენ** მიერ შერჩეული და **მზღვეველთან** შეთანხმებული **გრაფიკის შესაბამისად**, რაც ასახული იქნება **სადაზღვევო პოლისში.**

თქვენი ფინანსური თანამონაწილეობა შესაძლოა განისაზღვროს **ფრანშიზის ოდენობით,** რომლის არსებობა და ოდენობა შერჩეული იქნება **თქვენ მიერ** და დაფიქსირდება **პოლისში.** ასეთ შემთხვევაში, თითოეული **სადაზღვევო შემთხვევისას** დამდგარი ზარალის ოდენობას დააკლდება **პოლისში** მითითებული ფრანშიზის ოდენობა.

ფრანშიზა

- ნულოვანი. ამასთან, თუ შეძენილია **უფლებამოსილი მძღოლის ბრალეულობით გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევის** დაფარვა და ზარალის დადგომის მომენტისთვის **უფლებამოსილი მძღოლის** მიერ შესაბამისი კატეგორიის ავტომობილის მართვის გამოცდილება 1 წელზე ნაკლებია, მოქმედებს **ფრანშიზა**: ზარალის 10%, მინიმუმ 100 აშშ დოლარი თითოეულ და ყველა შემთხვევაზე.

შენიშვნა: **უფლებამოსილი მძღოლ(ებ)ის** ასაკის, მართვის გამოცდილებისა და სადაზღვევო ისტორიის გათვალისწინებით, შესაძლებელია შემოგთავაზოთ განსხვავებული **ფრანშიზა**.

თუ **სადაზღვევო პრემიის** გადახდის 30 (ოცდაათი) დღიანი ვადაგადაცილების მიზეზით **ჩვენ** გავაუქმებთ **დაზღვევის ხელშეკრულებას, თქვენ** ვალდებული ხართ სრულად გადაიხადოთ **დაზღვევის ხელშეკრულების** გაუქმების თარიღისთვის **გამომუშავებული სადაზღვევო პრემიის** გადაუხდელი ნაწილი.

თუ **დაზღვევის ხელშეკრულების** შეწყვეტამდე, **ჩვენ** არ გაგვიცია **სადაზღვევო ანაზღაურება** ან **თქვენ** მიერ არ დაფიქსირებულა ზარალი, **თქვენ** ვალდებული ხართ:

- სრულად გადაიხადოთ **დაზღვევის ხელშეკრულების** გაუქმების თარიღისთვის **გამომუშავებული სადაზღვევო პრემიის** გადაუხდელი ნაწილი;
- გადაიხადოთ **დაზღვევის ხელშეკრულების** ვადაზე ადრე შეწყვეტის პირგასამტეხლო, **გამოუმუშავებელი პრემიის** 10%-ის ოდენობით.

თუ **თქვენ** ვადაზე ადრე შეწყვეტთ **დაზღვევის ხელშეკრულებას** და **დაზღვევის ხელშეკრულების** შეწყვეტამდე, **ჩვენ** არ გაგვიცია **სადაზღვევო ანაზღაურება** ან **თქვენ** მიერ არ დაფიქსირებულა ზარალი, ამასთან, ხელშეკრულების გაუქმებისთანავე 1 (ერთი) წლიანი **დაზღვევის ხელშეკრულების** საფუძველზე დააზღვევთ ახალ ავტომობილს, **თქვენ** არ დაგეკისრებათ **გამოუმუშავებელი პრემიის** 10%, თუმცა ვალდებული ხართ სრულად გადაიხადოთ **დაზღვევის ხელშეკრულების** გაუქმების თარიღისთვის გამომუშავებული **სადაზღვევო პრემიის** გადაუხდელი ნაწილი.

თუ **თქვენ** ვადაზე ადრე შეწყვეტთ **დაზღვევის ხელშეკრულებას** და **დაზღვევის ხელშეკრულების** შეწყვეტამდე, მიმდინარე **დაზღვევის ხელშეკრულების** საფუძველზე **ჩვენ** გავეცით **სადაზღვევო ანაზღაურება** ან **თქვენ** მიერ დაფიქსირებულია ზარალი, რომლის განხილვა ჯერ კიდევ მიმდინარეობს, **თქვენ**

ვალდებული ხართ სრულად გადაიხადოთ **სადაზღვევო პოლისით** გათვალისწინებული ჯამური **სადაზღვევო პრემია, ჩვენ** მიერ ანაზღაურებული თანხის ოდენობისა და **დაზღვევის ხელშეკრულების** ძალაში ყოფნის პერიოდის მიუხედავად.

თუ **დაზღვევის ხელშეკრულება** წყდება **დაზღვეული ავტოტრანსპორტის სრული დაზიანების** მიზეზით, ასანაზღაურებელ თანხას გამოაკლდება **სადაზღვევო პოლისით** განსაზღვრული ჯამური **სადაზღვევო პრემიის** გადაუხდელი ნაწილი.

რა არ ანაზღაურდება?

საერთო გამონაკლისები:

ჩვენ თავისუფლები ვართ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან, თუ:

- ინფორმაცია, რომელიც თქვენ მოგვაწოდეთ, არის არასწორი, არაზუსტი, არასრული, ყალბი ან შეცდომაში შემყვანი.
- თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია შეუსაბამოა დაზღვეული ავტოტრანსპორტის მოვლენის მონაცემთა ჩამწერზე (Event Data Recorder) ან დაზღვეული ავტოტრანსპორტის ნებისმიერ სხვა მსგავს მოწყობილობაზე ხელმისაწვდომ ინფორმაციასთან;
- თქვენ არ მოგვეცით უფლება ან/და შეუზღუდავი წვდომა დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე, რათა ჩვენი წარმომადგენლის ან დამოუკიდებელი ექსპერტიზის მეშვეობით, შესაბამისი მოწყობილობის (Crash Data Retrieval) გამოყენებით მოგვეხდინა დაზღვეული ავტოტრანსპორტის მოვლენის მონაცემთა ჩამწერიდან (Event Data Recorder) ან/და დაზღვეული ავტოტრანსპორტის ნებისმიერი სხვა მსგავსი მოწყობილობიდან, ყველა მასზე არსებული მონაცემის/ინფორმაციის ამოღება სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების დადგენისა და შემდგომი ანალიზის მიზნებისთვის;
- სადაზღვევო შემთხვევა დადგა დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად დასურათებამდე;
- თქვენ არ გვაცნობეთ სადაზღვევო პერიოდში დაზღვეული ავტოტრანსპორტის გასხვისების შესახებ და სადაზღვევო შემთხვევა დადგა გასხვისებიდან ორი კვირის შემდეგ;
- თქვენ არ გვაცნობეთ სადაზღვევო პერიოდში დაზღვეული ავტოტრანსპორტის მესამე პირ(ებ)ის სასარგებლოდ დატვირთვის, დაყადაღების, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ.

- დაზღვეული ავტოტრანსპორტი გამოიყენებოდა არა პირადი დანიშნულებით.
- ზარალი გამოწვეულია საბურავის ისეთი დაზიანებით, როდესაც დაზიანებულია მხოლოდ საბურავი ან მხოლოდ საბურავი და დისკი.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის სავალი ნაწილის, ტრანსმისიის, ძრავის, საბურავების ან/და დისკების დაზიანება გამოწვეულია დაზიანებული გზის საფარით (არ მოიცავს სავალ ნაწილზე მდებარე საკანალიზაციო, სატელეკომუნიკაციო ჭას).
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უფლებამოსილი მძღოლი იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, უფლებამოსილმა მძღოლმა უარი განაცხადა მდგომარეობის დასადგენად საჭირო ტესტ(ებ)ის/სინჯების ჩაბარებაზე. არ მოგვაწოდეთ შესაბამისი ფაქტის დადგენის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეულ ავტოტრანსპორტს მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი / მართვის უფლების არ მქონე პირი ან პირი, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დროებით შეზღუდული, შეჩერებული ან ჩამორთმეული ქონდა მართვის უფლება.
- ზარალი გამოწვეულია თქვენი ან უფლებამოსილი მძღოლის განზრახ ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით ან ასეთის მცდელობით; ასევე, თვითმკვლელობით, თვითმკვლელობის მცდელობით, საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით ან ზიანის მიყენების მცდელობით.
- თქვენ, მოსარგებლემ ან უფლებამოსილმა მძღოლმა გააყალბეთ ან შეეცადეთ გაგეყალბებინათ სადაზღვევო შემთხვევასთან ან სადაზღვევო ანაზღაურებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლი გადაადგილდება საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გამოიწვია ადამიანისსიცოცხლის / მესამე პირის ქონების გადარჩენის აუცილებლობამ;
- ზიანი გამოწვეულია მესამე პირ(ებ)ის მიერ ჩადენილი თაღლითობით, გამოძალვით, მითვისებით ან ასეთის მცდელობით.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაზიანება გამოიწვია დაზღვეული ავტოტრანსპორტის, როგორც ტვირთის ტრანსპორტირებამ, ლაფეტით გადაზიდვამ, ბუქსირით გადაადგილებამ ან მისმა დატვირთვა/გადმოტვირთვამ (არ იგულისხმება ჩვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დაზღვეული ავტოტრანსპორტის გადაადგილებისას დამდგარი ზარალი).

- დაზღვეული ავტოტრანსპორტი დაზიანდა საჯარიმო სადგომზე დგომის დროს, გარდა სტიქიური მოვლენით გამოწვეული ზიანისა.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტი დაზიანდა ავტოდრომზე ან მის გარეთ ნებისმიერი სახის რბოლაში/სისწრაფის გამოცდაში/შეჯიბრში (მათ შორის Off Road), ნებისმიერი სახის ტესტირების (მათ შორის Test Drive) ან სამაშველო მოქმედებების პროცესში.
- დაზღვეულ ავტოტრანსპორტში მგზავრთა რაოდენობა აღემატებოდა დასაშვებ რაოდენობას ან გადაჭარბებული იყო დატვირთვის დასაშვები მაქსიმალური ზღვარი/წონა, რამაც გამოიწვია სადაზღვევო შემთხვევა ან გაზარდა ზარალის მოცულობა.
- სადაზღვევო შემთხვევა დადგა დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის VIN /შასის ნომერი არ ემთხვევა დაზიანებული ავტოტრანსპორტის VIN /შასის ნომერს.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტი დაზიანდა აეროდრომის ან აეროპორტის ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც გამოიყენება თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენად, გადასაადგილებლად, სადგომად, აეროპორტის მომსახურეობისათვის განკუთვნილ გზად ან აეროპორტში საბაჟო შემოწმებისათვის.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტი დაზიანდა სამშენებლო ან/და ისეთ ტერიტორიაზე, რომელზეც ავტოტრანსპორტით გადაადგილება შეზღუდულია ან აკრძალულია.
- ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა საავტომობილო გზის, ეზოს, ავტოფარეხის გარდა სხვა ტერიტორიაზე, სადაც არ არის საერთო სარგებლობის გზა, მათ შორის ტყის ან/და მთის მასივი, მდინარის კალაპოტი და ა.შ
- ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტის შეკეთების შედეგად გამოწვეული გაუფასურებით.
- სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტის ტექნიკური გაუმართაობით.
- დაზიანდა თქვენს საკუთრებაში, მფლობელობაში ან მინდობილ საკუთრებაში არსებული ქონება ან თქვენთვის შესანახად, სამეთვალყურეოდ ან სამართავად მიბარებული ქონება.
- ზარალი გამოწვეულია ისეთი ქონების დაზიანებით, რომელიც გადაიზიდებოდა დაზღვეული ავტოტრანსპორტით ან მიმაგრებული იყო მასთან ნებისმიერი სახის მისაბმელით.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტი იმყოფებოდა მართვისათვის / ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში.

- ორმაგი დაზღვევის არსებობის პირობებში, ადგილი ექნება სრული სადაზღვევო ანაზღაურების მიღების მცდელობას.
- ჩვენი წარმომადგენლის მისვლამდე დაზღვეული ავტოტრანსპორტი გადაადგილებულია ან თქვენ ან უფლებამოსილ მძღოლს მიტოვებული გაქვთ შემთხვევის ადგილი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამისთვის არსებობს ჩვენი ან საპატრულო პოლიციის გაცემული მითითება.
- ზარალი გამოწვეულია ამორტიზაციით, ცვეთით, კოროზიით, დაჟანგვით, თანდაყოლილი დეფექტით, დეფექტური მასალების გამოყენებით და სხვა ბუნებრივი თვისებებით.
- ზარალი გამოწვეულია საომარი მოქმედებით (მიუხედავად იმისა, ომი გამოცხადებულია თუ არა), სამოქალაქო ომით, რევოლუციით, სამხედრო ან უზურპატორული ძალაუფლების გამოყენებით, აჯანყებით, გაფიცვით, სამოქალაქო არეულობით, ტეროორისტული აქტით ან მისი მცდელობით.
- ზარალი გამოწვეულია იონიზირებული რადიაციით, რადიოაქტიური დაბინძურებით, ნებისმიერი სახის რადიოაქტიური გამოსხივების მქონე ბირთვული საწვავით ან რადიოაქტიური წვის შედეგად მიღებული ნარჩენებით, გარემოს დაბინძურებით, რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნაერთების ტრანსპორტირებით.
- ზარალი გამოწვეულია კონფისკაციით, დაპატიმრებით, დაკავებით ან სახელმწიფო ორგანოების დავალების საფუძველზე განხორციელებული ქმედებით.
- თქვენ, მოსარგებლე ან უფლებამოსილი მძღოლი არ ასრულებთ სადაზღვევო პოლისით ან/და დაზღვევის პირობებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.
- ზარალი გამოწვეულია ისეთი ქმედებით, რაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გვაძლევს უფლებას უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე

ჩვენ თავისუფალი ვართ ქვემოთ მოცემული ხარჯების ანაზღაურებისაგან:

- ნებისმიერი ტიპის ადმინისტრაციული თუ სხვა სახის ჯარიმა, მათ შორის საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯები, მიუღებელი შემოსავლები, მორალური ზიანი, სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალების დაქირავების ღირებულება.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების, საგარანტიო შეკეთებისა და გასაღების მოპარვის ან დაკარგვის შემთხვევაში, საკეტების გამოცვლის ხარჯები.

- ხარჯები, რომელიც აუმჯობესებს დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაზღვევამდე არსებულ მდგომარეობას.
- ჩვენთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის აღდგენაზე/სარემონტო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები.
- ავტოტრანსპორტის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ შეკეთების ხარჯები;

ავტომობილის ძარის დაზღვევის სექციისთვის არ ანაზღაურდება შემთხვევები:

- თუ პოლისი არ ფარავს უფლებამოსილი მძღოლის მიერ გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევის რისკს, არ ანაზღაურდება ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული ზარალი, თუ ბრალეული მხარე:
    - ➢ ხართ თქვენ ან ნებისმიერი უფლებამოსილი მძღოლი; ან
    - ➢ ხართ თქვენ/უფლებამოსილი მძღოლი და ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ი (შერეული ბრალი); ან
    - ➢ არ არის იდენტიფიცირებული.
- ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელზეც არ არსებობს საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი საჯარიმო ქვითარი.
- ქურდობით გამოწვეული ზარალი, თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა ან/და გასაღები დატოვებული იყო დაზღვეულ ავტოტრანსპორტში.
- ქურდობით გამოწვეული ზარალი, თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტი დატოვებული იყო ღია მდგომარეობაში (არ იყო ჩაკეტილი), ჩაწეული იყო მინები ან დაზღვეული ავტოტრანსპორტის გასაღები გადაცემული იყო არაუფლებამოსილი მძღოლისთვის.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის კატალიზატორის ქურდობა, ძარცვა.
- დაზღვეული რისკების გარდა ნებისმიერი სხვა მიზეზით გამოწვეული ზარალი.
- დაზღვეულ ავტოტრანსპორტში ან/და დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე დამონტაჟებული არაქარხნული დეტალების, მოწყობილობების, აქსესუარების (მათ შორის ტელე-აუდიო-ვიდეო აპარატურის) დაზიანებით ან განადგურებით გამოწვეული ზარალი.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის დასაკეცი/მოხსნადი სახურავის (მათ შორის ტენტი) ან/და მისი მექანიზმის დაზიანებით ან განადგურებით გამოწვეული ზარალი.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრის ნებისმიერი მიზეზით დაკარგვით ან დაზიანებით გამოწვეული ზარალი.

- დაზღვეული ავტოტრანსპორტისთვის დაუდგენელ ვითარებაში დაუდგენელი პირის მიერ მიყენებული ზიანი.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის იმ ნაწილების შეკეთების, ჩანაცვლების ან/და აღდგენის ხარჯები, რომლებსაც სადაზღვევო შემთხვევამდე ან დაზღვევის გაფორმებამდე ჰქონდა დაზიანება..
- საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევებით გამოწვეული ზარალი.

მესამე პირ(ებ)ის წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სექციისთვის, არ ავანაზღაურებთ:

- შემთხვევებს, როდესაც დაზარალებულ პირს წარმოადგენთ თქვენ, მოსარგებლე, დაზღვეული ავტოტრანსპორტის მესაკუთრე, მათი ან თქვენი ოჯახის წევრ(ებ)ი ან დაზღვეული ავტოტრანსპორტის მგზავრები.
- ჩვენთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე მესამე პირ(ებ)ის წინაშე აღიარებულ პასუხისმგებლობას ან/და გაწეულ ხარჯებს.
- მესამე პირ(ებ)ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ან/და გარდაცვალებას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვის გასვლის შემდეგ.
- წმინდა ფინანსურ ზარალს, როდესაც არ იკვეთება მესამე პირ(ებ)ის ქონების ან/და ჯანმრთელობის დაზიანება ან/და განადგურება.
- მიუხედავად პოლისში მითითებული დაზღვევის ტერიტორიისა, საქართველოს საზღვრებს გარეთ მომხდარ შემთხვევებს (თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული).
- საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევებით გამოწვეულ ზარალს.

მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის სექციისთვის, არ ავანაზღაურებთ:

- თუ მძღოლი ან/და მგზავრები გარდაიცვალნენ ან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა სადაზღვევო შემთხვევიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვის შემდეგ;
- მიუხედავად პოლისში მითითებული დაზღვევის ტერიტორიისა, საქართველოს საზღვრებს გარეთ მომხდარ შემთხვევებს (თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული);
- საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევებით გამოწვეულ ზარალს.

როგორ უნდა მოიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

არ გადააადგილოთ **დაზღვეული ავტოტრანსპორტი** და არ მიატოვოთ შემთხვევის ადგილი საპატრულო პოლიციის და **ჩვენი** წარმომადგენლის მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** გადაადგილება ან/და შემთხვევის ადგილის მიტოვება შეთანხმებულია ჩვენთან ან მოითხოვა საპატრულო პოლიციამ.

დაგვიკავშირდეთ ჩვენს **ცხელ ხაზზე (2 42 22 22)** და მოგვაწოდოთ სრული ინფორმაცია **სადაზღვევო შემთხვევის** შესახებ:

- დაუყოვნებლივ, თუ დაზიანება გამოწვეული არ არის **სტიქიური მოვლენით;**
- სტიქიის შემთხვევიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში, თუ დაზიანება გამოწვეულია **სტიქიური მოვლენით.**

დაუყოვნებლივ გამოიძახოთ საპატრულო პოლიცია (112). საპატრულო პოლიციის გამოძახება არ არის სავალდებულო, თუ:

- **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად დაზიანდა მხოლოდ **დაზღვეული ავტომობილის** საქარე მინა;
- **სადაზღვევო შემთხვევა** გამოწვეულია **სტიქიური მოვლენებით.**

სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე მოთხოვნა მზღვეველს წარედგინება წერილობითი ფორმით.

სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების ფორმა და ვადები

გადაწყვეტილებას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისა და მისი ოდენობის შესახებ მივიღებთ სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების დადგენისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრისათვის საჭირო საბუთების სრულყოფილად **მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის** ვადაში.

სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირება მოხდება შესაბამისი **აქტის გაფორმებით/დისტანციურად, სატელეფონო ან ელექტრონული არხების გამოყენებით.**

MOE-001/22

ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები

სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა ხდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

დაზღვეული ავტოტრანსპორტის **ნაწილობრივი დაზიანებისას სადაზღვევო ანაზღაურება** გადაერიცხება დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის შემკეთებელ ავტოსერვისცენტრს ან **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** მესაკუთრეს (ან მის კანონიერ წარმომადგენელს), **ჩვენი** გადაწყვეტილების შესაბამისად.

დაზღვეული ავტოტრანსპორტის სრული დაზიანებისას სადაზღვევო ანაზღაურება გადაერიცხება დაზღვეული ავტოტრანსპორტის კანონიერ მესაკუთრეს ან მის კანონიერ წარმომადგენელს. თუ **ჩვენ** გადავწყვიტეთ დავიტოვოთ **სრულად დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტი, სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემის წინაპირობა იქნება **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** საკუთრების უფლების **ჩვენთვის** გადმოცემა.

სადაზღვევო ანაზღაურებას გავცემთ **სადაზღვევო შემთხვევის** დარეგულირების აქტის ორივე მხარის მიერ ხელმოწერიდან / დისტანციურად დარეგულირებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** ქურდობის, ძარცვის ან/და ყაჩაღობის შემთხვევაში, **სადაზღვევო ანაზღაურებას** გავცემთ პოლიციაში ფაქტის გაცხადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ, თუ **დაზღვეული ავტოტრანსპორტი** არ იქნება აღმოჩენილი ამ პერიოდის განმავლობაში.

გმადლობთ, რომ სარგებლობთ ჩვენი მომსახურებით!